შპს "ჯეო სტილი"

საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მტკვარის ქ., N4, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578319, ტელ: (+995) 599 449 990

№ 01/07

07.06.2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „ჯეო სტილს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404578319) დაგეგმილი აქვს მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში მდებარე 20 000.00 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, შ.პ.ს. „ჯეო სტილი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №81.07.14.153.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის მე-6 პუნქტის თანახმად "მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გზშ-ს ექვემდებარება კოდექსის I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გზშ-ს ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლით შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ სკოპინგის დასკვნის გასაცემად.

დანართი: 1. შ.პ.ს. „ჯეო სტილი"-ს მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოების ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში ნაბეჭდი - 1 ეგზემპლარი და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

თამაზ ბერეჟიანი

შ.პ.ს. „ჯეო სტილი"-ს დირექტორი

№ 8266
07 06 2019
1